



N 15-9/5147
18/05/2022

5147-15-9-2-202205181707



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ **[REDACTED]** უფლებების სავარაუდო დარღვევის
ფაქტზე დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბატონო რატი,

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიერ დაარქივებული ვიდეოჩანაწერები.¹ საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ N8 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა დაარღვიეს მსჯავრდებულ **[REDACTED]** კანონით გათვალისწინებული უფლებები და სამჯერ უსაფუძვლოდ დააკისრეს დისციპლინური პასუხისმგებლობა.²

¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2021 წლის 24 დეკემბრის N313134/01 წერილში მითითებული დაარქივებული საქმის მასალები.

² „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომა სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა

ფაქტობრივი გარემოებები

ა) ვიდეოჩანაწერების დაარქივების საჭიროება

2021 წლის 17 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ [REDACTED]. მსჯავრდებულის განმარტებით და მისი პირადი საქმის შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, მე-3 კორპუსის N18 საკანში ყოფნის დროს, 2021 წლის 22, 24 და 25 ნოემბერს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა დირექტორის N280323//24, N281539/21 და N282434/21 განკარგულების საფუძველზე.³

[REDACTED] აცხადებდა, რომ მას რაიმე უკანონო ქმედება არ ჩაუდენია, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ეცნობა მხოლოდ 2021 წლის 1 დეკემბერს, N6 დაწესებულებაში გადაყვანის დროს.

სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირების მიზნით მიმართა პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარ სამმართველოს, [REDACTED] განთავსების ადგილის რელევანტური ვიდეოჩანაწერების შენახვის (დაარქივების) თაობაზე.⁴ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, სახალხო დამცველის რწმუნებულმა პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული მეთვალყურეობის განყოფილებაში დაათვალიერა დაარქივებული ვიდეოჩანაწერები.⁵

ვიდეოჩანაწერების დათვალიერების მიზანს წარმოადგენდა მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლის შემოწმება. დათვალიერდა დროის მონაკვეთები, რომელიც მითითებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ოქმებში⁶ და რომლებშიც უნდა ასახულიყო პატიმრის მიერ დაწესებულების დებულებით აკრძალული ქმედების ჩადენა.

ამრიგად, დათვალიერდა შემდეგ ინციდენტებთან დაკავშირებული ჩანაწერები:

- 2021 წლის 22 ნოემბრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი გახდა ამავე დღის 19:57 საათზე, N18 საკნის ფანჯრიდან ინფორმაციის გადაცემა. დირექტორის განკარგულება გამოიცა 23:00 საათზე. ამასთან, დოკუმენტებში მითითებული იყო, რომ შესაბამისი ოქმი შედგა პატიმრის თანდასწრებით;

და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

³ სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ N6 დაწესებულებაში შედგენილი 2021 წლის 17 დეკემბრის ოქმები.

⁴ სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 21 დეკემბრის N15-9/12143 წერილი.

⁵ ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმი N1052-22, 10.03.2022წ.

⁶ სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ N6 დაწესებულებაში შედგენილი 2021 წლის 17 დეკემბრის ოქმები.

- 2021 წლის 24 ნოემბრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი გახდა 11:01 საათზე, N18 საკანში ხმაური. დირექტორის განკარგულება გამოიცა 16:00 საათზე;
- 2021 წლის 25 ნოემბრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი გახდა 12:45 საათზე, N18 საკანში ხმაური. დირექტორის განკარგულება გამოიცა 14:00 საათზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა უფრო ვრცელი დროის მონაკვეთის ვიდეოჩანაწერები:

1. 2021 წლის 22 ნოემბრის ვიდეოჩანაწერი, 19:50 საათიდან 23:55 საათამდე;
2. 2021 წლის 24 ნოემბრის ვიდეოჩანაწერი, 10:55 საათიდან 18:00 საათამდე;
3. 2021 წლის 25 ნოემბრის ვიდეოჩანაწერი, 12:40 საათიდან 16:00 საათამდე.

ვინაიდან საკანში ვიდეო მონიტორინგი არ მიმდინარეობდა, დაარქივდა N18 საკნის მიმდებარე დერეფანში დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერები. მოცემული ვიდეოჩანაწერები სრულად ფარავდა დაწესებულების თანამშრომლების მოქმედებებს, რადგან მითითებულ პერიოდში ისინი საკანში არ შესულან და კამერების ხედვის არიდან არ გასულან.

ბ) ვიდეოჩანაწერის დაარქივების შედეგები

ვიდეოჩანაწერების დათვალიერების გზით შემოწმდა N8 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ შედგენილ დოკუმენტებში მითითებულ დროს, მივიდა თუ არა დაწესებულების თანამშრომელი N18 საკანთან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველების დადგენის მიზნით.

ვიდეოჩანაწერების მიხედვით, ასევე, უნდა გარკვეულიყო, ჰქონდა თუ არა დაწესებულების თანამშრომელს, ოქმებში მითითებულ დროს და შესაბამისი გარემოებების დადგენის მიზნით, რაიმე სახის კომუნიკაცია [REDACTED] კომუნიკაცია პირველი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დროს უნდა დამყარებულიყო პატიმრის მიერ ფანჯრიდან ინფორმაციის გადაცემის დასაფიქსირებლად, ხოლო მეორე და მესამე დისციპლინური პასუხისმგებლობების დაკისრების დროს - ხმაურის შემთხვევების დასაფიქსირებლად.

დამატებით, უნდა დადგენილიყო, დაწესებულების თანამშრომლების მიერ შედგენილი ოქმი შედგა თუ არა [REDACTED] თანდასწრებით, როგორც ეს აღნიშნული იყო პირველი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.

ვიდეოჩანაწერების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პერიოდში, [REDACTED] საკნის მიმდებარე ტერიტორიაზე, არის მშვიდი სამუშაო გარემო, გადაადგილდებიან თანამშრომლები, ხდება საჭმლის დარიგება, მოძრაობენ პატიმრები სხვადასხვა საკნიდან, მათ შორის რამდენჯერმე N18 საკნის პატიმრები საკნიდან გამოდიან და შედიან მშვიდ ვითარებაში, მათ შორის ერთხელ, გამოდიან ერთდროულად საშხაპით სარგებლობის მიზნით და წყნარად ბრუნდებიან უკან.

ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ N18 საკანთან დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი არ გამოვლენილა. დროის არცერთ მონაკვეთში არ მომხდარა მსჯავრდებულ [REDACTED] რაიმე სახის გასაუბრება და კომუნიკაცია, მისთვის არ გადაუციათ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ოქმი ან დირექტორის განკარგულება გასაცნობად/ ხელმოსაწერად.

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დოკუმენტების მიხედვით, გაურკვეველია რის საფუძველზე დადგინდა [REDACTED] მხრიდან საკნიდან ინფორმაციის გადაცემის ნამდვილობა პირველ შემთხვევაში, ხოლო სხვა შემთხვევებში როგორ დადგინდა საკანში ხმაურის ფაქტი, როდესაც არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა არც სხვა პატიმრების გამოკითხვა და არც სხვა კონკრეტული გარემოებები/მტკიცებულებებია მითითებული.

შესაბამისად, მოპოვებული და შემოწმებული მასალებით დადგინდა, რომ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შედგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი არ არსებობდა.

გ) მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასება

მსჯავრდებული [REDACTED] დამატებით აცხადებდა, რომ მისთვის საშიშროების რისკის დამძიმება მოხდა უკანონოდ, მის მიერ N8 პენიტენციური დაწესებულების მიმართ საყოფაცხოვრებო პირობებზე შედგენილი საჩივრების გამო.

სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მიერ მსჯავრდებულ [REDACTED] განსაკუთრებული რისკის ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა მოხდა მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის მიერ მომეტებული რისკის განსაზღვრის გადაწყვეტილების საფუძველზე.⁷

მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის 2021 წლის 1 დეკემბრის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სხდომის ოქმის ამონაწერისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 1 დეკემბრის N18802 ბრძანების შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ [REDACTED] საშიშროების რისკის დამძიმება და განსაკუთრებული რისკის ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა მოხდა მათ შორის და ძირითადად სწორედ ზემოაღნიშნული, 2021 წლის 22, 24 და 25 ნოემბრის N280323/24, N281539/21 და N282434/21 განკარგულებების საფუძველზე. როგორც ვიდეოჩანაწერების შესწავლის შედეგად გაირკვა, აღნიშნული განკარგულების გამოცემის საფუძველები, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არ არსებობდა.

⁷ მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის 2021 წლის 1 დეკემბრის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სხდომის ოქმის ამონაწერი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 1 დეკემბრის N18802 ბრძანება.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ადამიანის ღირსება შეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.⁸

პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით აღიარებული უფლებების დაცვის გარანტია.⁹

ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესების მიხედვით, ციხეებში მუდმივად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი და ინსპექცია სახელმწიფო ორგანოების მიერ, რათა შეფასდეს ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, თუ დადგინდება, რომ საჩივრები დასაბუთებულია, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები იმ პირობების გამოსასწორებლად, რომლებმაც საჩივრის წარდგენა გამოიწვია.¹⁰

დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა, სამწუხაროდ, არსებითი ხარვეზებით ხასიათდება. ყოველწლიურად სახალხო დამცველს მიმართავენ პატიმრები და აცხადებენ, რომ მათ უსაფუძვლოდ დაეკისრათ შესაბამისი სახდელები. სისტემური ხარვეზების შესახებ სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური ანგარიში ჯერ კიდევ წლების წინ მოამზადა, სადაც მითითებულია ყველა ის ხარვეზი, რომლის გამოსწორება აუცილებელი იყო პატიმრების უფლებების დაცვის მიზნით.¹¹ აღნიშნული ხარვეზები არ გამოსწორებულა დღემდე, რისი დასტურიც არის სახალხო დამცველის აპარატის და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლობის შედეგად იდენტიფიცირებული და 2021 წელს სასამართლოში გასაჩივრებული საქმეები, რომლებზეც სასამართლომ დაადგინა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მიერ პატიმრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გარეშე მოხდა.¹²

⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

⁹ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-3 თავი - „ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა“.

¹⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკვირვებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). მე-6 ნაწილი, პუნქტი 92.

გადახედილია მინისტრთა კომიტეტის მიერ და ცვლილებები შეტანილია 2020 წლის 1 ივლისს; ხელმისაწვდომია ბმულზე: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016809ee581

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში“, 2019 წელი; იხ. < <https://ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf> >

¹² სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში. გვ. 69-70. იხ.: <<https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> >

დასკვნა

მოცემულ საქმეში, სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის [REDACTED] მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილი დეტალების შემოწმება შესაძლებელი გახდა სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე დაარქივებული ვიდეოჩანაწერების შესწავლის შედეგად. ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულების თანამშრომლების მიერ შესაბამის დოკუმენტაციაში დაფიქსირებული გარემოებები სინამდვილეს არ შეესაბამება. ვიდეოჩანაწერები არ ასახავს არც [REDACTED] მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენას და არც ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან იმ რეაგირების განხორციელებას, რომელიც ოქმებშია დაფიქსირებული.

ამრიგად, N8 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელდა არაერთი უკანანო ქმედება მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ, კერძოდ:

- არ არსებობდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი 2021 წლის 22, 24 და 25 ნოემბერს;
- დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არ მოხდა მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველების სათანადოდ შემოწმება, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობა, გარემოებების გადამოწმება და ყოველ ჯერზე დირექტორის მხრიდან პატიმარს სათანადო დასაბუთების გარეშე გამოეცხადა „საყვედური“.

საგულისხმოა, რომ ძირითადად სწორედ კანონმდებლობის ამ უხეში დარღვევების შედეგად, უკანონოდ გამოცემული დისციპლინური სახდელების საფუძველზე, მსჯავრდებულის საშიშროების რისკი დამძიმდა და იგი გადაიყვანეს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების დარღვევა N8 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, რაც კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია,¹³ და წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას.¹⁴

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, (1) დაიწყეთ დისციპლინური საქმისწარმოება N8 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების დარღვევის

¹³ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁴ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

ფაქტზე და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება; (2) იმსჯელოთ [REDACTED] [REDACTED] საშიშროების რისკის გადაფასებაზე.

ამასთან, გთხოვთ, წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

